კონფერენციაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- მოწინავე არაორგანული მასალები და მათი მიღების ტექნოლოგიები (ექსტრემალურ პირობებში წარმოებული მასალები, ფუნქციონალური დანაფარები, ნახევრადგამტარული და რადიაციულად მედეგი მასალები, უსხმულო გლინვა, ფხვნილოვანი მეტალურგია, თმს, თმს-ელექტროგლინვა და სხვ.);
- არაორგანული მასალების კვლევის ანალიტიური და სტრუქტურული მეთოდები;
- ლითონმცოდნეობა და მასალების კოროზიისაგან დაცვა; სამედიცინო მასალები;
- არაორგანული საწარმოო ნარჩენების გაუვნებელყოფა და რეგენერაცია ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით.

მოთხოვნები მომხსენებლებისადმი:

სამუშაო ენა: ინგლისური და რუსული

მომხსენებელმა უნდა წარმოადგინოს 2014 წლის 15 სექტემბრამდე მოხსენების სათაური და რეფერატი, მოცულობით არაუმეტეს 100 სიტყვისა, ინგლისურ ან რუსულ ენაზე სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილების მისამართზე: info@mmi.ge (განყოფილების უფროსი ალექსანდრე ბურჯანაძე).

მოხსენების გაფორმების დაწვრილებითი ინსტრუქცია გეცნობებათ მოგვიანებით. მოხსენებები დაიბეჭდება კრებულის სახით და დაურიგდებათ კონფერენციის მონაწილეებს კონფერენციაზე რეგისტრაციის მომენტში.

საორგანიზაციო კომიტეტი